



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/19565
08/12/2017

19565-25-2-201712081543



საქართველოს პარლამენტის აპარატს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ ანგარიშს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ 2017 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი, სამსახურებრივი ინსტრუქცია და საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“.

2017 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 941 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამათგან, 931-ზე (10 დამუშავების პროცესშია) გაცემულია საჯარო ინფორმაციები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული საჯარო ინფორმაციის ქსეროასლების რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის 57 456 გვერდს, გადახდილია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა

2872,37 ლარის ოდენობით. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად, გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი